ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4546285

ნომერი: AR1687660

თარიღი : 13.06.2019

გაცემის თარიღი : 14.06.2019

გაცნობის თარიღი : 14.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, დავარის ქუჩა N34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ჩიტიშვილი პ/ნ 01024026129
- თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზ. 3 კვ. 13 კორპ.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც

გაცნობებთ შემდეგს:

2019 წლის 13 ივნისის AR1687660 განაცხადით შალვა ჩიტიშვილმა მოითხოვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა 2019 წლის 06 მაისის ბრძანება: ბ01.011912618 ით გაცემული კ2 კოეფიციენტის დაფიქსირების მიზნით. გაცნობებთ რომ აღნიშნული არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პიროებში ცვლილებას.
ამასთანავე AR1682804 განაცხადით თქვენ უკვე გეცნობათ, რომ სართულის მატების გამო (რაც მომატებული კოეფიციენტის ათვისებისთვისაა საჭირო) პირველ რიგში საკითხი უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის ახალი სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე. გაითვალისწინეთ ახალი გაპის დადგენის დროს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით დღეის მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სზ-3.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.